სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

ნოემბერი 2024

2024 წლის ნოემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **153 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 232 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **111 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ნოემბერში **443 ლარი** შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 612 ლარი შეადგინა, კახეთში - 548 ლარი, გურიაში - 502 ლარი, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - 372 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 ნოემბერი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების[3] მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2024 წლის ნოემბერში, 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, 5.3%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6.4%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.7%-ით შემცირდა.

2024 წლის ნოემბერში, 2023 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 14.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 12.2%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 18.9%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 ნოე/ 2024 ოქტ	2024 ნოე/ 2023 ნოე	2024 ნოე/ 2024 ოქტ	2024 ნოე/ 2023 ნოე	2024 ნოე/ 2024 ოქტ	2024 ნოე/ 2023 ნოე
კახეთი	-3.4%	7.1%	-12.2%	-0.4%	0.4%	11.0%
იმერეთი	-0.8%	11.6%	-1.7%	2.7%	-0.2%	18.7%
გურია	-2.5%	4.9%	-2.5%	4.9%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	-5.7%	22.5%	-5.9%	16.6%	-3.9%	41.2%
რაჭა	0.0%	2.9%	-	-	0.0%	2.9%
შიდა ქართლი	-1.2%	30.9%	-2.4%	32.2%	0.0%	29.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.5%	11.7%	2.0%	9.8%	-0.9%	13.9%
სამცხე-ჯავახეთი	-4.6%	4.5%	-5.8%	6.4%	-3.2%	3.2%
მცხეთა-მთიანეთი	-8.2%	7.3%	-13.7%	-2.7%	-0.1%	30.6%
თბილისი	-5.9%	15.0%	-6.0%	15.0%	-3.9%	14.3%
სულ ფასების % ცვლილება	**-5.3%**	**14.9%**	**-6.4%**	**12.2%**	**-4.7%**	**18.9%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის ნოემბერში, 2024 წლის ოქტომბრის ფასებთან და 2023 წლის ნოემბრის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 ქვემო ქართლისთვის მონაცემები ვერ შეგროვდა მოცემულ თვეში.

4 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.